



თვითმმართველი თემი
თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 79

„06“ აგვისტო 2015 წელი

თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის შ.პ.ს. „ინფრასტრუქტურის და კეთილმოწყობის სამსახურისათვის“ მოძრავი ქონების უსასყიდლო სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 122-ე მუხლის მე-6 ნაწილის და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის N669 დადგენილებით დამტკიცებული წესების 22-მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად,

1. მიეცეს თანხმობა თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგებელს, რათა მან უსასყიდლო სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, 2 წლის ვადით გადასცეს თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის შ.პ.ს. „ინფრასტრუქტურის და კეთილმოწყობის სამსახურს“ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული “FORD”-ის ფირმის “KARGO 1826” მოდელის სპეციალიზებული ავტომობილი სახელმწიფო ნომერი DD 661 QQ, გამოშვებული 2015 წელს, ღირებულებით 171 000 ლარი და 211 ცალი 1.1 მ³ მოცულობის ნაგვის კონტეინერი ღირებულებით 116 894 ლარი.

2. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე;

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში (მის. ქ. თელავი, დ. აღმაშენებლის გამზირი №41).

საკრებულოს თავმჯდომარე



პაატა გორგობიანი

პაატა გორგობიანი